პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 287 (13103) | ოთხშაბათი, 9 დეკემბერი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

შვიდწლედი — ვადამდე!

შრომითს ვახტზე

ბაკურიანი

ბავშვობა კიდევ მცირეოდენი ხანი, და მიწის გულში მეტროს მატარებლები მგზავრებს ქალაქის ერთი კუთხიდან მეორეში გადაიყვანენ. თავდადებით შრომობენ თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლები, რათა მოაახლოონ მისი ექსპლოატაციად გადაცემის დრო.

მშენებლობაზე ერთ-ერთი მოწინავეა მეორე უბანი. აქ თვიურ და კვარტალურ გეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

სანაქებო მაჩვენებლებს მიაღწია კომუნისტური შრომის ბრიგადამ, რომელსაც სერგო ბლიაძე ხელმძღვანელობს. იგი გამოცდილი გამყვანია. შრომის 15 წლის სტაჟით. ამდენივე წელია მიწის სიღრმეში მუშაობს მისი ბრიგადის წევრი ვლადიმერ ნიკოლაევი. ისინი დავალებებს 160 პროცენტით ასრულებენ. მათ არც ბრიგადის ახალგაზრდა წევრი რ. ნადარაია ჩამორჩება. რვა წელია, რაც იგი დაეუფლა გამყვანის პროფესიას და ახლა მხარში უდგას გამოცდილ სპეციალისტებს. ყოველდღიურად ერთნახევარ ნორმას ასრულებს.

უბანში კარგად არის ცნობილი კომუნისტ ნოდარ კალანდაძის სახელიც. მოწინავე ელექტროზენიკელს დიდი უბანი ანბარია — იგი გვირაბის უველა ელექტროდანადგარსა და განათებას ემსახურება.

სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ): მოწინავე გამყვანები ვ. ნიკოლაევი, ბრიგადირი ს. ბლიაძე და რ. ნადარაია.

ფოტო ბ. დადვაძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

კომუნისტი — ავანგარდში!

ბირველადი პარტიული ორგანიზაცია ჩვენი პარტიის საფუძველია. აქ, იდეურ, პარტიულ მებრძოლთა ამ სამეფოში, იწრთობა კომუნისტი. აქ გადის რიგი დიდ სკოლას, უალიბდება როგორც პარტიას აქტიური, პრინციპული, მტკიცე ჯარისკაცი. პირველადი პარტიული ორგანიზაცია ზრდის კომუნისტს ნაკლოვანებებისა და პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებიდან გადახვევებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით. ამიტომ. არის, რომ ჩვენი პარტია, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებასა და განმტკიცებას მუდამ დიდ ყურადღებას აქცევდა და აქცევს.

კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდის ამოცანები აუცილებლად მოითხოვენ პარტიის ძირეული რგოლების მოღვაწეობის შემდგომ სრულყოფას. პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობისა და კომუნისტთა პასუხისმგებლობის ამაღლებას.

ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია, რომელიც დღითიდღე რიცხობრივად იზრდება და ორგანიზაციულად მტკიცდება, ახლა თავის რიგებში ითვლის 245.886 კომუნისტს, რომლებიც 9.338 პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში არიან გაერთიანებულნი. დამახასიათებელია საქართველოს პარტორგანიზაციის ხარისხობრივი ზრდაც: უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად ამაღლდა კომუნისტთა კულტურული დონე და იდეური შეიარაღება, გაძლიერდა მასებზე მათი გავლენა. და როცა სიამაყით ვლაპარაკობთ რესპუბლიკის ინდუსტრიის განუხრელ აღმავლობაზე, კაპიტალურ მშენებლობათა ფართო გაქანებაზე, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის ახალ მიღწევებზე, ამასთანავე აღვნიშნავთ, რომ ყველა ამ წარმატებაში დიდია პირველადი პარტიული ორგანიზაციების, კომუნისტების დამრაზმავი როლი.

შორს წაგვიყვანდა ობილისის, რუსთავის, ქუთაისის, ბათუმისა და სხვა ქალაქების იმ პირველადი პარტიული ორგანიზაციების ჩამოთვლა, რომლებიც ახორციელებენ დამონსტრაციის მოცვაწეობისადმი კონტროლის უფლებას. ღრმად არიან დაინტერესებულნი წარმოების საკითხებით, ეწევიან მშრომელთა შორის ქმედითს აღმზრდელობითს მუშაობას, სწორად ზრდიან კადრებს პარტიისა და ხალხის წინაშე მაღალი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით.

ახლა, როცა ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მთელი ძალები მიმართულია პროდუქტების სიუხვის შექმნისაკენ, ამ საერთო-სახალხო ბრძოლის მოწინავე ბაზზე დგანან სოფლის კომუნისტები. გუდაუთის რაიონის სოფელ ახალსოფლის ორჯონიკიძის სახელობის კოლეტურნეობის კომუნისტთა დიდი უმრავლესობა მებრძოლია და შრომის ავანგარდში დგას. ორგანიზატორული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის უანრიანად მოწყობით სასოფლო-სამეურნეო არტელი ყოველ წელს ახალ წარმატებას აღწევს. წელსაც აქ სასოფლო-სამეურნეო კულტურების, განსაკუთრებით კი ულუფრის უხვი მოსავალი მოიყვანეს. სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღებით ახალსოფლელებმა ჯერ კიდევ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 47-ე წლისთავისთვის შეასრულეს სახელმწიფოსთვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოყიდვის წლიური გეგმა.

ბევრი კარგი რამის სწავლა შეიძლება გორის, ზუგდიდის, მახარაძის, სოჭალისა და სხვა რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობათა პირველადი პარტიული ორგანიზაციების, კომუნისტთა მუშაობის მაგალითზე.

რესპუბლიკის პირველადს პარტორგანიზაციებში წელს მოწყობილმა საანგარიშო-საარჩევნო კრებებმა, რომლებმაც მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩაიარა, ერთხელ კიდევ ცხადყო კომუნისტთა პოლიტიკური სიმწიფე, მზარდი შემოქმედებითი აქტივობა და ინიციატივა. მათი ჭაბუკოფნა მთელი ძალები მოახმარონ ჩვენი პარტიის XX, XXI და XXII ყრილობებზე გამოშუშავებული ლენინური ხაზისათვის ბრძოლას. მაგრამ ამ კრებებმა ამასთანავე გამოამეღავნეს ის სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებსაც ჯერ კიდევ აქვს ადგილი მთელი რიგი პირველადი პარტიული ორგანიზაციებისა და პარტიული ორგანოების მუშაობაში. ეს ნაკლოვანებანი კი იმაში მდგომარეობს, რომ ბევრი პირველადი პარტიული ორგანიზაცია ნაკლებად ზრუნავს კომუნისტების მიერ საწესებდო მოვალეობათა დაცვისათვის, სუსტად ასრულებს თავის როლს დიდ საწარმოო პრობლემათა გადაწყვეტაში, არ იბრძვის იმისათვის, რომ ყოველი კომუნისტი იყოს სახელმწიფო დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლის ავანგარდში, ყოველმხრივ უჭერდეს მხარს და ავითარებდეს მშრომელთა შემოქმედებითს ინიციატივას. სწორედ ამაში და არა „ობიექტურ მიზეზებში“ უნდა ვეძებოთ ის, რომ რესპუბლიკის ზოგიერთი საწარმო და მშენებლობა ვერ ასრულებს საგეგმო დავალებებს, არცთუ ცოტა საზოგადოებრივ მეურნეობებში ჯერ კიდევ დაბალია წარმოების დონე.

ეჭვი არ არის, ასეთ ნაკლოვანებებს ადგილი არ ექნებოდა, პარტიის საკლაკო და რაიონული კომიტეტები რომ უფრო ახლოს იდგნენ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებთან და ღრმად სწვდებოდნენ მათს ცხოვრებას. ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები საწარმოებსა და საზოგადოებრივ მეურნეობებში ყოფნისას სამეურნეო ხელმძღვანელთან საუბრებით კი არ უნდა შემოიფარგლონ, არამედ ხშირად შეხვდნენ პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებს, პარტიულ აქტივისტებს, გამოიჩინონ ინტერესი მათი მოღვაწეობისადმი და ყური დაუგდონ მათს ხმას.

საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ თვითეული პირველადი პარტორგანიზაციაც იყოს მასების ნამდვილი ორგანიზატორი და აღმზრდელი, ყოველი კომუნისტი ზუსტად ასრულებდეს სკკ ნესდების მოთხოვნებს. ამ მიზნით უნდა შევიმუშაოთ კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ პირველადი პარტორგანიზაციების, კომუნისტთა როლისა და პასუხისმგებლობის ამაღლებას თვიანთ კოლექტივებში საქმის მდგომარეობისათვის.

თვითეულმა პარტიულმა ორგანიზაციამ მიტი ყურადღება უნდა მიაქციოს კომუნისტთა იდეურ წრთობას, განვითაროს მათი ინიციატივა და თვითმოქმედება, აღზარდოს ისინი მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით პარტიული მოვალეობისა და ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი. ხოლო ეს ამოცანები წარმატებით რომ გადავძლოთ. საჭიროა ყოველმხრივ გაიშალოთ შინაპარტიული დემოკრატია. განვამტკიცოთ ხელმძღვანელობის კოლექტიურობა, მკაცრად დავიცვათ პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმები. ყოველმხრივ უნდა ავამაღლოთ პარტიული კრებებისა და პარტიული ორგანოების პლენუმების როლი.

პარტიულმა ორგანიზაციებმა სულ უფრო მეტად უნდა აღიმაღლონ ხმა საპარადო ხმაურის, უპასუხისმგებლობისა და მოუფიქრებელ დავალებათა წინააღმდეგ, უფრო ჯანსაღად შეაფასონ მუშაკთა ღირსებები და ნაკლოვანებანი.

რესპუბლიკის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში მოწყობილი ანგარიშგება-არჩევნების შედეგად მათი მდივნების ნახევარზე მეტი ახლად იქნა არჩეული. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ ბევრ ახალ მდივანს აკლია გამოცდილება, ცოდნა, პარტიული მუშაობის ჩვევები. პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენება ბევრად იქნება ღამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად უკეთ მოვაწყობთ მათი მდივნებისადმი დახმარებას, სწავლებასა და აღზრდას. პარტიული კომიტეტები უნდა დაეხმარონ ახალარჩეულ მდივნებს გაშალონ მუშაობა მიღებულ დადგენილებათა და კომუნისტთა წინადადებების შესასრულებლად. ასწავლონ მათ საკითხების კოლეტიურად გადაწყვეტა. კომუნისტებიც დარაზმეს მორიგი ამოცანების გადასაჭრელად.

სკკ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებები, რომლებიც ცხოვრებით არის ნაკარნახევი, ნახავს გზებს კომუნისტთა აქტივობის ახალ სიმაღლეზე ასაყვანად. კომუნისტების მშენებლობის ყველა უბნისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გასაუქჯობესებლად.

პარტიული ორგანიზაციებისა და მათი ხელმძღვანელი ორგანოების ტერიტორიულ-საწარმოო ნიშნით აგების პრინციპის საფუძველზე, რასაც ახლა ვუბრუნდებით, ჩვენი რესპუბლიკის ყველა რაიონში, სადაც აღდგენილ იქნება პარტიის ერთიანი რაიონული კომიტეტები, უახლოეს ხანში მოეწყობა პარტიული კონფერენციები. ამ კონფერენციებზე ერთიანი პარტიული ორგანიზაციების არჩევამდე ამჟამად არსებული სამრეწველო-საწარმოო და სასოფლო პარტიული კომიტეტები განაგრძობენ თავიანთ მოღვაწეობას და, მთლიანად პასუხისმგებელი არიან საქმის ვითარებისათვის პარტიულ ორგანიზაციებში.

მალე დამთავრდება მიმდინარე სამეურნეო წელი და დაიწყება შვიდწლედის უკანასკნელი წელი. ჩვენ ბევრ რამეს მოველით ახალი წლისაგან. კომუნისტთა უპირველესი ამოცანაა ყველგან იყვნენ შვიდწლედისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში, ახალ წელს ახალი მიღწევებით გაახარონ სამშობლო.

უკვატაკემენ სამეფოსლოს

ქასპის ცემენტის ქარხნის კოლექტივმა გადაზე ადრე 24 ნოემბრისათვის შეასრულა ცემენტის გამოშვების თვითმეტი თვის გეგმა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 2.774 ტონა ცემენტი.

შრომაში დაწინაურდა წიდაბლოკების საამქროს კოლექტივი, რომელმაც წლიური გეგმით გათვალისწინებული 47.750 კუბური მეტრის ნაცვლად უკვე გამოუშვა 52.940 კუბური მეტი წიდაბლოკები.

გ. მალაციძე

ქუთაისი. (საკ. კორ.). ლუდის ქარხნის კოლექტივი 23 ნოემბრიდან დეკემბრის ანგარიშში მუშაობს. გამოშვებულია ათასობით მანეთის ზეგეგმიური პროდუქცია.

განსკენილ პერიოდში აქ გეგმასთან შედარებით 4,5 პროცენტით აამაღლეს შრომის ნაყოფიერება, ხოლო თვითღირებულების შემცირების გზით რამდენიმე ათასი მანეთი დაზოგეს.

საწარმოს კოლექტივის მტკიცე გადაწყვეტილებაა წლიური დავალება ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლის მიხედვით 20 დეკემბრისთვის შეასრულოს.

ზანური. (საკ. კორ.). წნელისის თალის საწარმო წელს წარმატებით მუშაობს. მზა თალი სისტემატურად ეგზავნება სუმგაითის ქიმიურ კომბინატს, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის 30-ზე მეტ საწარმოს.

თალის ამოღების 11 თვის დავალება შესრულებულია 108,5 პროცენტით. ეს წარმატება საწარმოს კოლექტივმა კონსტიტუციის დღეს მიუძღვნა.

მეტალურგთა თავდადება

ზესტაფონი. (საკ. კორ.). აქაური მეტალურგები, რომლებიც ზაპოროჟიელ თანამოსაქმეებს ეჯიბრებიან, თავდადებულად შრომობენ. ფეროშენადნობთა ქარხნის გუნდა — პირველი საამქროს კოლექტივმა, რომელსაც საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი გ. გელენსონი ხელმძღვანელობს, თერმეტი თვის გეგმის გადამეტებით ათასობით ტონა მაღალხარისხოვანი ლიგონინი გამოადნო და ათ მილიონამდე კილოვატ-საათი ელექტროენერგია დაზოგა. საამქროს კოლექტივმა თვითღირებულების შემცირებით მარტო ათ თვეში 197.000 მანეთი დაზოგა.

წინ მიდის კომუნისტური შრომის მეექვსე სადნობი ღუმელი, სადაც მუშაობენ კომუნისტური შრომის ბრიგადები ს. ფეიქრიძის, ზ. ბუცხრიკიძის, ვ. ყანჩაველის, ზ. ქავთარაძის და ლ. ჭიპაშვილის ხელმძღვანელობით. ამ ღუმელის კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა თერმეტი თვის დავალება და 4.180 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია დაზოგა.

ზეგეგმით შენადნობს იძლევა და დიდძალ ელექტროენერგიას ზოგავს მეორე საამქროს კოლექტივიც, რომელსაც მეტალურგი ქალი, საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი ლ. ქათამაძე უძღვება.

რკინიგზელი რაციონალიზაგორები

ხაშური. ბევრი კარგი რაციონალიზატორია სავაგონო დეპოში. წელს შემოსული რაციონალიზატორული წინადადებებიდან ოცი უკვე დანერგილია, რომელთა განხორციელებამ რკინიგზელს რამდენიმე ათასი მანეთი ეკონომია მისცა.

მარტო დეპოს უფროსის მოადგილის ინჟინერ გ. თოფურიას რაციონალიზატორულ წინადადებათა განხორციელებით წარმოება წლიურად 2.125 მანეთს ეკონომიას იღებს.

მნიშვნელოვან ეკონომიურ ეფექტს იძლევიან ოსტატ ლ. მაღრაძისა და ზეინკალ შ. შათირიშვილის რაციონალიზატორული წინადადებანი, რომლებიც გაუმჯობესდა საკისურების კორპუსის დასამოქლონებული დანადგარისა და გოგორწყვილების სარეცხი მანქანის მუშაობა.

ა. ღამბაშიძე,

ხაშურის სავაგონო დეპოს უფროსი ინჟინერი.

ა. ი. მიქოიანი შეხვდა ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის დელეგაციას

8 დეკემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. ი. მიქოიანი შეხვდა ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის დელეგაციას, რომელსაც მეთაურობს კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე. ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ზდენეკ ფირლინგერი. სტუმრებთან ერთად იყო ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში ო. პავლოვსკი.

შეხვედრის დროს გაიმართა გულთბილი, ამხანაგური საუბარი. (საკადესი.)

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიებში

მიმდინარე წლის 8 დეკემბერს კრემლში გ. ი. ვორობიოვისა და ნ. ზარიპოვას თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიების სხდომები.

კომისიებმა მოისმინეს და განიხილეს ქვეკომისიების მოხსენებები, თუ როგორ მიმდინარეობს მუშაობა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლების, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წყალთა მეურნეობის კანონმდებლობის საფუძვლების, აგრეთვე სსრ კავშირში ერთიანი აღრიცხვისა და სტატისტიკის კანონის პროექტების მოსამზადებლად. გარდა ამისა კომისიებმა შეიმნეს ქვეკომისია, რომელიც განიხილავს სოციალისტური სახელმწიფო სამრეწველო საწარმოს კანონის პროექტს.

კომისიების სხდომაზე დაამტკიცეს კომისიების მუშაობის 1965 წლის გეგმა და განიხილეს სხვა საკითხები.

კომისიების მუშაობაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, სსრ კავშირის მინისტრები და სხვა უწყებათა ხელმძღვანელები, პრესის წარმომადგენლები, მეცნიერები.

სტუმრად გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

7 დეკემბერს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაფრინდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პარტიულ მუშაკთა ჯგუფი სკკ ცენტრალური კომიტეტის კომიტეტის ბრეზნევლობის განყოფილების გამგის პირველი მოადგილის ვ. მ. ბუშუევის მეთაურობით.

საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია კენიაში წავიდა

მოსკოვი, 8 დეკემბერი. (საკადესი). დღეს მოსკოვიდან კენიის დედაქალაქ ნაირობიში წავიდა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია. დელეგაციას მეთაურობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ა. ა. მიურისეპი.

დელეგაცია მონაწილეობას მიიღებს კენიის დამოუკიდებლობის წლისთავის, აგრეთვე რესპუბლიკად გამოცხადების აღსანიშნავ დღესასწაულში.

შერემეტიევოს აეროდრომზე დელეგაცია გააცილეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ი. ე. კალნბერზინმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

საკადესის ცნობა

მიფრინავს „ზონდ-2“

ავტომატური სადგური „ზონდი-2“ ანგარძობს ფრენას კოსმოსურ სივრცეში.

4-დან 8 დეკემბრამდე სადგურთან კავშირის II სეანსი მოეწყო. სეანსების დროს მიღებულია მონაცემები აპარატურის მუშაობის შესახებ, რომელიც სადგურში მოთავსებული და სამეცნიერო ინფორმაცია.

რადიოკავშირი ავტომატურ სადგურთან მყარია.

8 დეკემბერს 22 საათზე მოსკოვის დროით ავტომატური სადგური „ზონდი-2“ დედამიწიდან 2 მილიონ 470 ათას კილომეტრზე იქნება. მისი ასტრონომიული კოორდინატები შეესაბამება: პირდაპირი ასვლა — 8 საათი 38 წუთი; დახრილობა მინუს 6 გრადუსი 30 მინუტი.

სადგურთან რადიოკავშირის შემდგომი სეანსები პროგრამის შესაბამისად მოეწყობა.

ქიმია და ყოფაცხოვრება

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოსთან არსებული ახალი გაერთიანება

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოსთან იქმნება სრულიად საკავშირო გაერთიანება, რომლის გამგებლობაში შევა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ქიმიური საქონლის წარმოება.

დიდია ასეთი საქონლის ნომენკლატურა. ეს არის სარეცხი საშუალებანი და ფოტოქიმიკატები, ლაქსალებავი მასალები და პლასტიკური მასიდან დამზადებული საგალანტერეო ნაწარმი, სათხილამურო ტყავლის გასაწმენდი საშუალებები, სადეზინფექციო პრეპარატები და სხვა. მათ იყენებენ ყველა სახლში, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველგან როდი შეიძლება ყველაფრის ყიდვა, ხარისხიც ხშირად მაღალი არ არის.

— საყოფაცხოვრებო ქიმიის საქონლის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სათხილამურო დანიშნულების პლასტმასის ნაწარმის წარმოების დაგეგმვა, აგრეთვე მათი სარეპუბლიკოთშორისო მიწოდების დაგეგმვა ახალი გაერთიანების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა, — განუცხადა საბჭოს კორესპონდენტს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვ. თ. უიგალინმა.

გაერთიანება შეისწავლის და გაანაწილებს მოწინავე გამოცდილებას წარმოების ამ დარგში, თვალყურს ადევნებს იმას, რომ გამოშვებული პროდუქცია შეესაბამებოდეს თანამედროვე ტექნიკურ დონეს. გაერთიანებამ გადაწყვიტა, რომ შეწყდეს მოძველებული ნიმუშების საქონლის გამოშვება და დაინერგოს წარმოებაში ახალი ნაწარმი. ეს გადაწყვეტილება საკალდებულოა ყველა საწარმოსა და სახალხო მეურნეობის საბჭოსთვის.

მომავალ წელს საყოფაცხოვრებო ქიმიის საქონლის წარმოების საერთო მოცულობის მატება შეადგენს დაახლოებით 20 პროცენტს. (საკადესი).

სსრ კავშირისა და ამერიკის პოლარელთა კონტაქტები

ლენინგრადი, 7 დეკემბერი. (საკადესი). საბჭოთა კავშირის სამხრეთ-პოლარულ სადგურ ვოსტოკის მოხალისეთა შემადგენლობას შეეგება ორი ამერიკელი — ეკონომ ვიქტორ პეკერი და ინჟინერი ჯან ვიტკოუსი. ისინი ჩამოიყვანა თვითმფრინავმა „ანტარქტიდა“, რომელზეც იყო ანტარქტიდის ამერიკელ მკვლევართა ჯგუფი კონტრ-ადმირალის დ. რიდის მეთაურობით. ისინი ეწვევიან ვოსტოკის მოხალისეებს.

სამხრეთ პოლარულ ობსერვატორიის მირნის დირექტორმა პ. სერკოფ ოდიოთი აცნობა ლენინგრადს, რომ ე. ვიტკოუსი დგამს და აწყობს აქ ჩამოტანილ მეცნიერულ აპარატურას, რომელიც განკუთვნილია ამერიკელი გეოფიზიკოსის ჯონ ჯეკობისათვის. იგი იზამთრებს სადგურ ვოსტოკში ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სსრ კავშირს შორის მეცნიერთა გაცვლის პროგრამის შესაბამისად. მე-9 საბჭოთა ანტარქტიკული ექსპედიციის მონაწილეებთან ერთად ჯ. ჯეკობსი სწავლობს იონოსფეროს და რადიოტალღების გავრცელებას.

ეროვნული ფასეულობა

ბაკურიანი. (საკ. კორ.). აქაური ბეტონის ქარხნის ბრიგადა ზაპოროჟიელ თანამოსაქმეებს ეჯიბრებიან, თავდადებულად შრომობენ. ფეროშენადნობთა ქარხნის გუნდა — პირველი საამქროს კოლექტივმა, რომელსაც საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი გ. გელენსონი ხელმძღვანელობს, თერმეტი თვის გეგმის გადამეტებით ათასობით ტონა მაღალხარისხოვანი ლიგონინი გამოადნო და ათ მილიონამდე კილოვატ-საათი ელექტროენერგია დაზოგა. საამქროს კოლექტივმა თვითღირებულების შემცირებით მარტო ათ თვეში 197.000 მანეთი დაზოგა.

წინ მიდის კომუნისტური შრომის მეექვსე სადნობი ღუმელი, სადაც მუშაობენ კომუნისტური შრომის ბრიგადები ს. ფეიქრიძის, ზ. ბუცხრიკიძის, ვ. ყანჩაველის, ზ. ქავთარაძის და ლ. ჭიპაშვილის ხელმძღვანელობით. ამ ღუმელის კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა თერმეტი თვის დავალება და 4.180 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია დაზოგა.

ზეგეგმით შენადნობს იძლევა და დიდძალ ელექტროენერგიას ზოგავს მეორე საამქროს კოლექტივიც, რომელსაც მეტალურგი ქალი, საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი ლ. ქათამაძე უძღვება.

ინჟინერი

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ბეტონის ქარხნის ინჟინერ ალ. ბოლოქაძეს ეროვნული ფასეულობა ეწოდა. ინჟინერ ალ. ბოლოქაძეს ეროვნული ფასეულობა ეწოდა. ინჟინერ ალ. ბოლოქაძეს ეროვნული ფასეულობა ეწოდა.

ბეგეგის გადამეტებით

თელავი. (საკ. კორ.). თელავის სამეურეალო ფაბრიკაში შეკერილი პალტოები ჩვენი რესპუბლიკის გარდა დიდი რაოდენობით იგზავნება ტაჯიკეთში, უზბეკეთში, თურქმენეთში და სხვ. თელაველები ამზადებენ სკოლის ასაკის გოგონების პალტოებს, აგრეთვე სათხილამურო კოსტუმებს. მომზმარებლები პროდუქციის ხარისხით კმაყოფილი არიან.

ფაბრიკის კოლექტივს წელს 1.035 ათასი მანეთის პროდუქცია უნდა გამოეშვა, ფაქტიურად საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის დღისათვის — 5 დეკემბრისათვის 1.156 ათასი მანეთის პროდუქცია მისცა ქვეყანას.

ფაბრიკა ამაყობს მოწინავე ადამიანებით, სტ. თუშიშვილი, ე. უურაშვილი, ე. სუხიშვილი, ნ. ფარესაშვილი, მ. ხუციაძე და სხვები დღიურ დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

ჩვენ ლენინ

საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიებში

ნიუ-იორკი, 8 დეკემბერი. (საკადესი). საგადასახადო კორესპონდენტი იუწყება:

დღეს პიტსბურგში გაიხსნა საბჭოთა გამოფენა „ჯანმრთელობის დაცვა სსრ კავშირში“. „ცივი ომი“ დიდ საგამოფენო დარბაზში გამოფენილია აპარატები, რომლებიც ოპერაციების დროს ცვლიან გულისა და ფილტვების მუშაობას; ხელსაწყოები, რომლებიც ეკრავენ ს.ისხლის ძარღვებს, ავტომატური საოპერაციო მაგიდები და სხვა რთული სამედიცინო მოწყობილობა და იარაღები. წარმატება აქვს ამერიკელ სპეციალისტთა შორის ფილმებს, ფოტოსურათებსა და სქემებს სსრ კავშირში ჯანმრთელობის დაცვის შესახებ.

გამოფენის გახსნის ცერემონიაზე სიტყვები წარმოთქვეს ქალაქის მერმა ჯონეფ ბარმა, სსრ კავშირის საელჩოს მრჩეველმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ევგენი ბუგროვმა და ამერიკის შეერთებული შტატების ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის წარმომადგენელმა დოქტორმა ჯეიმს უატმა.

ამერიკელ სამართლიან ფასეულ

ჰავანა. 8 დეკემბერი. (საკადესი). 1955-1961 წლებში ლათინური ამერიკის ქვეყნებმა საერესპორტო ნედლეულის ფასების დაცემის გამო დაკარგეს 10 მილიარდზე მეტი დოლარი.

ეს მონაცემები იუწყება მეხიკოდან პრენსა ლატინას საგაზეთოს დენტი, პრესისათვის ჰავანაქალაქის ერთ-ხანდაბში მოიყვანა ციოზე, ერთ-ერთ პრეზიდენტმა ალრ სახელს ატარებს, გალიც ოფიციალურ მიტინგი, მიძღვნილი მექსიკაში. ახალ ლობის პედაგოგიური ლაბორატორიისა და ბერეზი ქალებისაგაუსვა პენსიილი ზოგადსაგანმანათლებლო ნედლ ის ასამაღლებელი კურსების რა მაინ გამოშვებისადმი.

სო ჭიტინგზე გამოვიდა ლიბერმიერ-მინისტრი ფიდელ კასტრო. მან თავიბრ სიტყვა უმთავრესად ტმეიუდლენა კუბის სახალხო ანათლების ამოცანებს.

იაპონიის სოციალისტური პარტიის ყრილობა

ტოკიო, 8 დეკემბერი, (საკადესი). აქ გაიხსნა იაპონიის სოციალისტური პარ[illegible] ამ ქვეყნის ყველაზე დიდი ოპოზ[illegible] ყრილობა. ყრ[illegible]ოგადოების შემდგომი [illegible] ტიის საქმიანობის [illegible]ოთად მიმართულებებს. არჩეულ ბილავს და დაამტ[illegible] ,ზოგადოების ხელმძღვანელი ორგანების პროგრამას [illegible] ეში.

ყრილობის მონაწილეებმა აღუთქვეს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ ისინი ყოველ ღონეს იხმარენ, რათა შეეტანონ წვლილი საზოგადოების წევრთა ინტერნაციონალისტური და პატრიოტული აღზრდის საქმეში, პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განმტკიცების საქმეში.

პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების მთავარი ამოცანაა ერთმეორისადმი ორმხრივ კვლავ არჩეულია პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის მარშალი ჩ. ვიცეხი.

ეკონომიკური საათი

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

ჰანოი, 8 დეკემბერი. (საკადესი). პასუხად თეთრი სახლის ამასწინანდელი განცხადებისა, რომელშიც დადასტურებულია ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა სამხრეთ ვიეტნამში აგრესიული ომის წარმოებისა და გაფართოების შესახებ, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა გუშინ გამოაქვეყნა განცხადება, ამას იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო.

განცხადებაში ეკრძოდ ნათქვამია: ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტები და მათი დამქაშნი სამხრეთ ვიეტნამში ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა გააფიდონ თავიანთი ძალები და გააფართოონ აგრესიული ომი სამხრეთ ვიეტნამის ხალხის წინააღმდეგ. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო გადაჭრით გმობს მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ამ უაღრესად საშიშ განზრახვებს.

ნიუ-იორკი, 8 დეკემბერი. (საკადესი). როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტოს კორესპონდენტი ბალტიმორიდან (მერილენდის შტატი) იტყობინება, ამერიკის ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის მეცნიერებმა წარმოადგინეს პლანეტა ვენერას ატმოსფეროს კვლევის შედეგები, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდებიან იმ მონაცემებისაგან, რომლებიც/ გადმოსცა კოსმოსურმა ხომალდმა „მარინერ-2“.

არის თუ არა ვენერაზე სიცოცხლე?

მონაცემები, რომლებიც მეცნიერთა ამ ჯგუფმა მიიღო ახალი კვლევის შედეგად, აღნიშნავს კორესპონდენტი, კვლავ საფუძველს გვაძლევენ ვივარაუდოთ, რომ ვენერაზე რაღაც ფორმით არსებობს სიცოცხლე.

ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის მეცნიერები ამტკიცებენ აგრეთვე, რომ თეთრი

ᲛᲔᲒᲠᲥᲝᲚᲘ ᲣᲮᲠᲔᲓᲘ

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲯᲒᲣᲤᲔᲑᲘ პირველადი პარტიული ორგანიზაციების მებრძოლ უჯრედებს უწოდებენ. ნამდვილად სწორი შეფასებაა. ამ მრავალრიცხოვანი რგოლების : საშუალებით პარტია პრაქტიკულად ახორციელებს მასებისადმი ხელმძღვანელობის თავის პოლიტიკას. კომუნისტები, რომლებიც იდეურად და ორგანიზაციულად ინრთობიან პარტიულ ჯგუფებში, ავანგარდულ როლს ასრულებენ, წარმატებებს ამრავლებენ.

გვიდაანი გაზეთ „კომუნისტის“ 2 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებული წერილის „ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲥᲐᲚᲘ“. ჯგუფის ორგანიზატორი ᲒᲘ. ᲤᲘᲠᲪᲔᲚᲐᲫᲔ დამაჯერებლად გადმოგვცემს თბილისის ორძალმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის დამშლელ-დამკომპლექტებელი საამქროს ელექტროშემდუღებელთა პარტიული ჯგუფის გამოცდილებას. ავტორი სტატიაში ბევრ საყურადღებო საკითხს აღძრავს, რაც ჩვენს შემდგომ მუშაობაში დაგვეხმარება.

როცა ამ წერილს ვწერდი, ერთი შორეული ეპიზოდი გამახსენდა. აი პარტიული ბილეთი პარტიის სამაზრო კომიტეტმა საზეიმოდ გადმომცა. სოფელში რომ დავბრუნდი, ყველა მილოცავდა. მაშინ ვაზისუბანში სამიოდე კომუნისტი ვიყავით, იმ დროს ჩვენს დღეებს ვადარებდ, და გული სიხარულით მევსება. როგორ გავიზარდეთ, როგორ ავმაღლდით! როცა სოფელში პირველი ტრაქტორი მოიტანეს, მთელი ვაზისუბანი ფეხზე დადგა. ქალი თუ კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა „რკინის ხარს“ გარს ეხვეოდა. მათ გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა. ახლა მარტო ტრაქტორით ვის გააკვირვებ. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა 70 პროცენტზე მეტ მექანიზმებით სრულდება!

კოლმეურნეობის სამუშაოთა ფრონტი მეტად დიდია. 710 ჰექტარი ვენახი, ასობით ჰექტარი სახნავ-სათესი ფართობი, ბაღი, ბოსტანი, მეცხოველეობის ფერმები დაუზარელ, ბეჯით შრომას მოითხოვს. ასეც ვშრომობთ. პირველადი პარტიული ორგანიზაცია 68 კომუნისტს ითვლის და ყველა მათგანი ავანგარდშია. პარტიული ჯგუფები ყველა საქმის სული და გული არიან. ისინი დღენიადაგ ადამიანებზე ზრუნავენ, ახლის, პროგრესულის დანერგვის ინიციატორები არიან.

ჯერ სამეურნეო წელი არ დამთავრებულა, მაგრამ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ დაძაბულმა შრომამ სახსარულო ნაყოფი გამოიღო. ვაზისუბნელებმა სახელმწიფოს თექვსმეტი ათასი ცენტნერი ყურძენი მიჰყიდეს, გადამტანები შესრულდა მარცვლეულის, ხიხილის, ბაღჩეულ-ბოსტნეულის, მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის დავალებანი. შრომის საზღაური კოლმეურნეები კმაყოფილი არიან.

ამ სასახელო წარმატებებში კოლმეურნეობის მეათე ბრიგადას, რომელშიც ჩვენი პარტიული ჯგუფია შექმნილი, სათანადო წვლილი მიუძღვის. მიუხედავად წლევანდელი უამინდობისა, ბრიგადამ 49 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 50 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა. ღვინის ქარხანას 2.450 ცენტნერი ყურძენი მივუწოდეთ. ამდენი ყურძენი რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობასაც კი არ ჩაუბარებია. უხვად მოვიყვანეთ სიმინდიც. გეგმა ჰექტარზე 35 ცენტნერი მარცვლის მიღებას ითვალისწინებდა. ფაქტიურად 62 ცენტნერი მოვიყვანეთ.

ჩვენი პარტიული ჯგუფი ექვს კომუნისტს აერთიანებს. ნ. დრეიძე, ს. არუთინოვი, გ. და ა. მღებრიშვილები სამუშაოებს ხწრაფად და მაღალხარისხოვნად ასრულებენ. ბრიგადირი ალ. ტერტეროვი მცოდნე და უნარიანი მუშაკია. კომუნისტებს შრომაში მუდამ მხარში უდგანან უპარტიო კოლმეურნეები ვ. მატიაშვილი, გ. მატიაშვილი, ს. იაგანოვი, მ. მღებრიშვილი და ბევრი სხვა.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ შეკრებებზე საქმიანი მსჯელობაა. საამისო მაგალითები ბევრია, მაგრამ ჩვენ ერთს დავასახელებთ. როცა სოფლის მეურნეობის წარმოების ინტენსიფიკაციის საკითხს განვიხილავდით, კომუნისტებმა აღნიშნეს, რომ შევნახოებობაში მექანიზაცია ძალზე ნელი ტემპით ინერგება. არის ისეთი ნაკვეთები, რომელთა რიგთაშორის ხვნა კვლავ ცხენის გუთნით წარმოებს. ვაზს ზურგის აპარატებით წამლავენ. გოგირდს კი ხელით აფრქვევენ. ვენახში არც სასუქები შეაქვთ მექანიზმებით. ყველაფერი ეს შრომის ნაყოფიერებას ამცირებს, პროდუქციას აძვირებს. მექანიზაციის დანერგვის საკითხი მთელი სიმწვავით დავაყენეთ კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციისა და გამგეობის წინაშე.

საქმიანმა მსჯელობამ და სათანადო ღონისძიებებმა სასურველი შედეგი გამოიღო. შეიქმნა მექანიზატორთა რგოლი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ს. ბუსურაშვილი. ტრაქტორისტებმა ვ. სოლომნიშვილმა და ა. ჯავახიშვილმა დიდი შრომა გასწიეს. ვენახები ორჯერ ლეწ სპრეა-ბაასი გაიმართა ვენახებში საშემოდგომო სამუშაოების დროულად მწყობაზე. ქალი თუ კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა ვენახებს შეეწია, რიგთა შორის ხვნა მოკლე დროში დამთავრდა. ვაზის ძირები უკვე გამოვთოხნეთ, სასუქები შევიტანეთ. ასე რომ მომავალი წლის უხვ მოსავალს აქედანვე მტკიცე საფუძველი ჩაეყარა.

პარტიული ჯგუფი კოლმეურნეებს უნერგავს შრომის, ურთიერთდახმარების, ამხანაგური დამოკიდებულების სიყვარულს. იყო ასეთი შემთხვევა: კოლმეურნე ქ. იაგანოვის სახლს მეხი დაეცა და დაანგრია. კომუნისტებმა მოითხოვეს ყოველნაირად დახმარებოდნენ აქტიური კოლმეურნის ოჯახს. კოლმეურნეობის გამგეობამ იაგანოვს საშენი მასალები გამოუყო და მუშახელი დაახმარა. იაგანოვმა წინანდელზე უკეთესი სახლი აგო.

ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ამის მიუხედავად, სხვებიც ,გვეუბნებიან და თვითონაც ვგრძნობთ, რომ ჩვენი პარტიული ჯგუფის მუშაობას ჯერ ბევრი ჩრდილოვანი მხარე აქვს. ავიღოთ თუნდაც საავგიტაციო მუშაობა. ამ საქმეში კამპანიურობა ვერ აღვკვეთეთ. დაიწყება საბჭოების არჩევნებისათვის მზადება, და აგიტატორებიც მოუზარებენ მშრომელებთან სიარულს; დამთავრდება არჩევნები, და ისე გაივლის ერთი თვე. ზოგჯერ მეტიც, რომ აგიტატორი არ გამოჩნდება. ზოგჯერ თუ დაგვენახვება, გაზეთს წაიკითხავს და წავა. მარტო გაზეთის წაკითხვა საკმარისი როდია. ახლა არც ერთი კოლმეურნე არ არის გაზეთის კითხვა რომ არ იცოდეს. სჯობს და აუცილებელიც არის, რომ აგიტატორი ცოცხალ, საინტერესო საუბრებს მართავდეს მნიშვნელოვან საკითხებზე. უჩვენებდეს რეზერვებს, ასწავლიდეს მათი ამოქმედების კონკრეტულ გზებს.

არის ზოგიერთი „წვრილმანი“, რომლებიც ხელს გვიშლის მუშაობაში. ჩვენი ბრიგადის ვენახები სოფელს რამდენიმე კილომეტრით არის დაშორებული. სამუშაოზე ავტომანქანებით მივდივართ და მოვდივართ. ეს კარგია, მაგრამ ცუდია ის, რომ ვენახებში ერთი ქოხიც არა დგას, რომ წვიმის შემთხვევაში კოლმეურნეებმა თავი შეიფაროონ. ეს საქმე კი ვერა და ვერ ითავა პარტიულმა ჯგუფმა. ჩვენ რომ ეს საკითხი პარტიული ორგანიზაციის წინაშე დაგვეყენებინა, კოლმეურნეობას : საბრიგადო სახლების აშენება არ გაუჭირდებოდა.

პარტიული მეურნეობის მოწესრიგება, უპარტიო აქტივთან მუშაობა, ქმედით მასობრივ-პოლიტიკურ ღონისძიებათა განხორციელება, მოწინავეთა გამოცდილების აქტიური პროპაგანდა... აი არასრული სია იმ საკითხებისა, რომლებზეც სათანადო რჩევა-დარიგება და მითითება გვჭირდება. სემინარები, თათბირები დიდ დახმარებას გაგიწევდა. მათ სისტემატურად რომ აწყობდნენ ჩვენთვის.

კარგს იზამს „კომუნისტის“ რედაქცია თუ გაზეთის ფურცლებზე მოაწყობს პარტ.ჯგუფორგანიზატორთა მუშაობის გამოცდილების ფართო ურთიერთგაზიარებას. შექმნის პარტიული აქტივისტების — კერძოდ, პარტ.ჯგუფორგანიზატორთა დაუსწრებელ სკოლას.

Ლ. ᲛᲔᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბნის კოლმეურნეობის მე-10 ბრიგადის პარტიული ჯგუფის ორგანიზატორი.

ᲨᲔᲛᲪᲔᲕᲘ ᲐᲗᲔᲘᲡᲢᲘ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ

ᲐᲗᲔᲘᲡᲢᲣᲠᲘ პროპაგანდა მასების კომუნისტური აღზრდის მნიშვნელოვანი უბანია. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა დასახა წარსულის მავნე გადმონაშთების, მათ შორის რელიგიურ კრურწმენათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების, მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის ახალი ამოცანები.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაზეთი მახარაძისა და ლანჩხუთის რაიონებში „ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲓᲠᲝᲨᲘ“ (რედაქტორი ა. გურგენიძე) ცდილობს ქმედითად დაეხმაროს ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებს რელიგიური ბურუსისაგან ჯერ კიდევ აქა-იქ შემორჩენილ მორწმუნეთა განთავისუფლების საქმეში. ამას ცხადყოფს თუნდაც მისი მიმდინარე წლის 28. ნოემბრის ნომერი, რომლის მოწინავე წერილი და სპეციალური გვერდი ახალ ეტაპზე ათეისტური პროპაგანდისადმი მიძღვნილი.

ამ გვერდში მკითხველი ბევრ საინტერესო მასალას ეცნობა. „პარტიული ორგანიზაცია და ათეისტური პროპაგანდა“ — ასეთია სათაური-კუმბარა, ჩაგანთავსებული ნეიმის პარტბიუროს მდივნის შ. დარჩიას წერილისა, რომელიც კომუნისტთა მრავალმხრივ მოღვაწეობას ასახავს და ბევრ საგულისხმო საკითხს აღძრავს.

ᲐᲗᲔᲘᲡᲢᲣᲠᲘ პროპაგანდის ადგილობრივ გამოცდილებაზე ესაუბრება მკითხველს ნატანების საბჭოთა მეურნეობის პარტბიუროს მდივანი მ. გოგიტიძე. შეპოვნდეს საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის მიერ გაწეულ მუშაობაზე მოგვითხრობს ა. ᲑᲣᲠᲭᲣᲚᲐᲫᲔ.

გვერდში არის მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ციტატები; აქვე მოთავსებული ა. წარსულის მოგონების ერთი ფურცელი, იუმორი, ახსნილია ცრურწმენათა ფესვები.

ᲙᲝᲚᲘᲥᲩᲘᲙᲐᲠᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲠᲐ

ᲐᲑᲐᲨᲘᲡ მექანიკურ ქარხანაში ორ წელზე მეტია საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილია პოლიტიკური განათლების კაბინეტი, რომელსაც ხელმძღვანელობს კომუნისტი რ. ვეკუა. კაბინეტთან არსებობს მეთოდური საბჭო და ლექტორთა ჯგუფი.

ქარხნის პარტიული ორგანიზაციის ბიუროს პრაქტიკულ დახმარებას უწევს საზოგადოებრივ კაბინეტს. ამასწინათ ბიუროს სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი კაბინეტის მუშაობის შესახებ. დაისახა ღონისძიებანი პოლიტიკური განათლების კაბინეტის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

Ი. ᲗᲝᲛᲨᲕᲠᲘᲐ.

ᲨᲚᲐᲛᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲡᲐᲡᲣᲤᲘᲐ

ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ეფექტურობით მინერალური სასუქების გვერდით დგას მდინარის წყლის საშუალებით მიწების მოშლამეა, რასაც საქართველოს სინამდვილეში დიდი ხნის ისტორია აქვს. სამწუხაროდ, ზოგიერთ საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობაში ეს უაღრესად სასარგებლო საქმე რატომღაც დავიწყებას მისცეს.

სხვადასხვა მდინარის წყლის ქიმიური შემადგენლობა სხვადასხვაა და მიწების რწყვის შედეგად სასოფლო-სამეურნო პროდუქციის გემოვნებისა და მოსავლიანობის გადიდების ეფექტურობაც სხვადასხვაა. მაგალითად, მდინარე ლიტვის წყლით მორწყულ ფართობზე უფრო გემრიელი ხილი, პური და ბოსტნეული მოდის, ვიდრე მდინარე მტკვრის წყლით მორწყულზე.

ანალოგიური მდგომარეობაა მდინარე რიონსა და ცხენისწყალს შუა. ცხენისწყლით მოშლამეა და მორწყვა უკეთესად მოქმედებს. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გემოვნებასა და მოსავლიანობაზე, ვიდრე მდინარე რიონის წყლით მორწყვა.

მდინარეში ნალექის რაოდენობა მეტია წყალდიდობის დროს (ზშირი წვიმები, თოვლის დნობა) გაზაფხულსა და შემოდგომაზე. სწორედ ამ პერიოდში და ზაფხულ ზამთარშიც მდინარის სამეალტით უნდა ვაწარმოოთ მიწის ფარითობის მოშლამეა.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ნიადაგების, განსაკუთრებით ბუნებრივად ღარიბი, ქვიშნარი, ტორფიანი და ეწერი ნიადაგების განოყიერებას მდინარის შლამით. შლამი ქიმიურად ამდიდრებს და ფიზიკურად აუმჯობესებს სავარგულ მიწებს.

მდინარის შლამს ზოგჯერ აგროვებენ სპეციალურ ორმოებში, რომლებსაც მეტ წილ შემთხვევებში მდინარის ან სარწყავი არხის მახლობლად თხრიან. მდინარის მიერ მოტანილი შლამით ავსებული ორმო პერიოდულად იცლება. ორმოებიდან შლამის ამოღებას, დატვირთვას, გადმოტვირთვას მუშახელისა და ტრანსპორტის გარკვეული რაოდენობა სჭირდება. ამ სამუშაოთა შესრულებისაგან მუშახელის განთავისუფლება შეიძლება, თუ კოლეტურნეობები აღჭურვილი იქნებიან მიწის შემწოვი მანქანებით, რომლებიც გამოსადეგია აგრეთვე სარწყავი ქსელისა და სათაეე ნაგებობების ნალექისაგან გასაწმენდად.

წულუკიძის რაიონის წყალთა მეურნეობის სასისტემო სამმართველოს 1964 წლის საწარმოო გეგმით გათვალისწინებული იყო სავეგეტაციო პეროიდში ექვსი ათასი ჰექტარი სიმინდის ნათესის ორჯერ მორწყვა, ნიადაგების მოშლამეა რამდენიმე ასეულ ჰექტარ ფართობზე, ზამთარში და ადრე გაზაფხულზე ნიადაგების გასანოყიერებლად სპეციალურ ორმოებში ოთხი ათას ტონაზე მეტი შლამის დაგროვება.

პრაქტიკამ . . . გვიჩვენა, რომ ორმოში დატბორვების არეს სიმაცრის გამო შედარებიდ მსხვილ ნაწილაკებისაგან შემდგარი შლამი გროვდება. ნალექი რაც უფრო მდიდარია წვრილი ნაწილაკებით, მით უფრო ეფექტურია იგი უხვი მოსავლის მისაღებად. ორმოდან მინდერად გატანილი შლამით განოყიერებული ნიადაგი შედარებით ნაკლებ მოსავალს გვაძლევს, ვიდრე უშუალოდ მდინარის წყლით დატბორების საშუალებით დალექილი ფართობი.

დაკვირვებამ ცხადყო, რომ წყალდიდობის დროს წულუკიძის რაიონში 12-15 დღის განმავლობაში დატბორებით ნიადაგის ზედაპირზე დაილექა 20 სანტიმეტრამდე შლამი და, რაც მთავარია, მოსავლიანობის გადიდების მხრივ მისი ეფექტურობა მეხუთე წელსაც თვალსაჩინო იყო. ამრიგად, კარგად მოშლამელ მიწის ფართობს ხუთი წლის განმავლობაში აღარ ესაჭიროება სასუქის შეტანა.

შლამით განოყიერებული ნიადაგის დამუშავება უფრო ადვილია და, რაც მთავარია, ნიადაგი ხანგრძლივად ინარჩუნებს ტენიანობას.

მდინარის წყლით მოშლამვას შემოდგომა-ზამთრისა და ადრე გაზაფხულის პერიოდში წყალდიდობის დროს აწარმოებენ. წულუკიძის რაიონის სოფელ გოჩა ჯიხაშის კოლმეურნეობასა და სხვა კოლმეურნეობებში მდინარე ცხენისწყლის წყლით აპრილის პირველ ნახევარში მოშლამეულ ფართობზე დაფესილი სიმინდი მოუშლამავ მიწის ნაკვეთზე ათი დღით ადრე დათესილ სიმინდს დაეწია ზრდა-განვითარების მხრივ და, რაც მნიშვნელოვანია, ორჯერ მეტი მოსავალი იქნა მიღებული, ვიდრე მოუშლამავ მიწის ფართობზე.

ეს ფაქტი ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ მდინარეების საშუალებით ნიადაგების მოშლამავს, ე. ი. ლექით მიწების განოყიერებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით ეროზიულანი სათოხნი კულტურების უხვი მოსავლის მიღებისათვის.

ᲠᲝᲒᲝᲠ ვაწარმოოთ რწყვა? შესაძლებელი რომ იქნას მთელ ფართობზე წყლის დატბორება და მიწის ზედაპირს შედარებით თანაბრად დაეფინოს მდინარის შლამი, უმჯობესია წინასწარ ჩავატაროთ მიწის ფართობის მსუბუქი ან თვლისწინა მოშანდაკება და, სარწყავი მოედნის შერჩევის მიხედვით, ნაკვეთები წინასწარ დაყოთ ცალკე ფართობებად. ადგილმდებარეობის კონფიგურაციის მიხედვით თვითეული სარწყავი ფართობი უნდა შემოიფარგლოს 60 სანტიმეტრი სიმაღლის მიწაყრილით. განსაზღვრული დროის განმავლობაში შემდეგ შლამისაგან განთავისუფლებულ წყალს მიწაყრილის გახსნის საშუალებით გადავუშვებთ ნაკვეთის უმდაბლეს მხარეს ან ზემოხსენებული წესით წყალს მივუგზავნიდით გამოყოფილ მომდევნო მოსარწყავ ფართობს.

მოსაშლამავი ნაკვეთის მიწაყრილით შემოსაზღვრას მუშახელი სჭირდება და, ამ მიზეზის გამო ეს სამუშაო დაგვიანებით სრულდება. ამიტომ გადაუდებელ ამოცანად მიგვაჩნია, რომ „საქსოფლტექნიკამ“ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები აღჭურვოს პატარა ბულდოზერებით და მომშანდაკებელიარაღებით. სამუშაოთა მექანიზაციის დანერგვა, ცხადია, გაათავისუფლებს მუშახელის გარკვეულ რაოდენობას და ხელს შეუწყობს პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას.

ადრე გაზაფხულზე მიწების განოყიერების დროს მოხნულ ფართობზე კელები წყლის ნაკადის საწინააღმდეგოდ უნდა იყოს მიმართული და მდინარის შლამიც ბელტებს შორის თანაბრად დაილექება, მორწყვის ასეთი ხერხი შესანიშნავ შედეგებს იძლევა. ეს მით უფრო ეფექტურია, რაც უფრო თანაბარზომიერად მიმდინარეობს წყლის მიწოდებისა და გადაშვების სამუშაოები, და ნიადაგზე უწვრილესი ნაწილაკები დალექავ მეტი რაოდენობით ხვედება.

მიწისმწოვი მანქანებით ამოქაჩული მდინარის შლამი ამაღლებს ფიზიკურ, ჭაობიან და ღორღიან ნიადაგებს. პრაქტიკამ დაგვარწმუნა, რომ მდინარის შლამით რეფულირებული მიწის ფართობი სწრაფად შედის სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის სასარგებლო მიწის ფონდში.

ნიადაგების მოშლამვით განოყიერების საკითხი მეცნიერულად ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის შესწავლილი. ამიტომ კარგი იქნება ეს უაღრესად სასარგებლო ღონისძიება შეიესწავლონ საქართველოს ნიადაგმცოდნეობის, ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის და მიწათმოქმედების სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტებმა. საწარმოო საამართველოებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა საჭიროა გაიაზოონ მუშაობა ნიადაგების მოშლამვით განოყიერების დასანერგავად, რაც სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდების საუკეთესო ღონისძიებას წარმოადგენს.

ᲒᲐᲚ. ᲛᲘᲜᲓᲐᲫᲔ,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკი.

ᲛᲙᲕᲔᲗᲠᲐᲓ ᲐᲕᲐᲛᲐᲦᲚᲝᲗ ᲛᲘᲬᲐᲗᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐᲡ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲯᲘᲛᲙᲐᲠᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲘᲐᲛᲐᲧᲣᲤᲐ

ᲪᲮᲝᲚᲐᲗᲐ საქართველოს უძველესი საბტადო ქალაქია, რომელიც თავის პატარა, ულამაზეს სახახელში იტევს ისეთ ბრწყინვალე, მსოფლიო მნიშვნელობის არქეოლოგიურ და არქიტექტურულ ძეგლებს, როგორიც არის ანმაზის აკლდამები, ჯვრის მონასტერი, სვეტიცხოველი, სამთავრო და მრავალი სხვა. ამიტომ იყო, რომ მცხეთამ თავიდანვე ყურადღება მიიპყრო, როგორც ქართველი ერის დიდი წარსულის წმიდა ადგილმა. ამ პატარა კუთხის მიწის გულიდან ამოღებულმა მეტყველმა ძეგლებმა აალაპარაკა მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერნი, მცხეთის დიდებული წარსულის ძეგლებს ეხება მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე გამოცემული 113 მეცნიერული და მეცნიერულ-პოპულარული შრომა.

ასეთი განსაკუთრებით პატივსაცემი და განსაკუთრებული შინაგანი მნიშვნელობით აღსავსე ქალაქი ალბათ ბევრი როდია. ამიტომ არის, რომ საქართველოში ჩამოსული მეცნიერი, კულტურის მუშაკი, ტურისტი თუ საგანგებოდ გამომგზავრებული მცხეთას უნახავს არ ტოვებს. სტუმარს ხიბლავს მისი სიმშვენიერე, განსაკუთრებული მდებარეობა, ტყით დაფარული შემოგარენი, ორი მდინარის ურთიერთ შეზრდა, ზღაპრულად რომ მოჩანს ჯვარ-ზედაზნიდან.

ყოველწლიურად იზრდება ჩვენი ქალაქის, საგურამოს, ნოსტეს, ერთაწმინდის, მუხრანის და სხვა სოფლების მნახველთა რიცხვი. მოდიან ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხრიდან, მსოფლიოს თითქმის ყველა კონტინენტიდან.

ჩანაწერებით სავსეა მხარეთმცოდნეობის და საგურამოს ილიას მუზეუმები, სახელოვანი თანამემამულის მიხეილ მამულაშვილის შთაბეჭდილებათა წიგნები.

მნახველებს სიძველეთა ძეგლებთან ერთად აინტერესებთ დღევანდელი შინაარსიანი შრომით აღსავსე, კეთილი დამმჩნევი ჩვენი ყოფა და საქმიანობა, რაც ქალაქისა და სოფლის სისუფთავეში, სილამაზეში, მის ღაზავსა და შნოში პოულობს გამოხატულებას.

ამ მიმართულებით მცხეთის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს სესიამ ჯერ კიდევ მიმდინარე წლის 14 იანვარს განიხილა მცხეთის კეთილმოწყობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების საკითხი. დაისახა მთელი რიგი ღონისძიებანი ქალაქის კეთილმოწყობისა და მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესებისათვის. სესიის გადაწყვეტილებანი, მოსახლეობის მხარდაჭერითა და აქტიური მონაწილეობით ფასახული გეგმები წარმატებით სრულდება.

ხალხის ფართო მონაწილეობა ქალაქისა და სოფლების კეთილმოწყობაში კიდევ უფრო გაბზარდა საგარეჯოელთა შემდეგი მოწოდების ძახუად: „მოუარე, დაამშვენე შენი სოფელი და კარმიდამო“. შესრულდა მნიშვნელოვანი სამუშაოები მოსახლეობის შრომითი მონაწილეობითა და ადგილობრივი სახსრებით რაიონის ცენტრისა და სოფლების კეთილმოსაწყობად. მიმდინარე წელს ქ. მცხეთის კეთილმოწყობისა და მოსახლეობის კომუნალური მომსახურებისათვის ბიუჯეტით გამოყოფილი 113 ათასი მანეთი ათვისებულია. გარდა ამისა, ქალაქის კეთილმოწყობას მოხმარდა რაიონის ბარეი შემოსავლიდან 80 ათასი მანეთი.

ᲗᲣ ᲛᲘᲗᲮᲠᲘᲗ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲗᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲡ ᲗᲠᲝᲞᲘᲡ ᲚᲐᲠᲯᲘᲡ ᲪᲚᲝᲑᲐᲡᲐᲪ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲘᲜᲐᲬᲚᲝᲑᲐ, სანამ ქალაქს ეწვევ. ᲗᲣ ᲐᲠ ᲛᲝᲬᲕᲘᲡᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲕᲐ. ᲛᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲛᲔᲚᲘ ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲕᲐ ᲐᲠᲐᲒᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲛᲔᲚᲘ ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲕᲐ ᲐᲠᲐᲒᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲛᲔᲚᲘ ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲕᲐ.

ᲛᲪᲮᲔᲗᲐ საქართველოს უძველესი საბტადო ქალაქია, რომელიც თავის პატარა, ულამაზეს სახახელში იტევს ისეთ ბრწყინვალე, მსოფლიო მნიშვნელობის არქეოლოგიურ და არქიტექტურულ ძეგლებს, როგორიც არის ანმაზის აკლდამები, ჯვრის მონასტერი, სვეტიცხოველი, სამთავრო და მრავალი სხვა. ამიტომ იყო, რომ მცხეთამ თავიდანვე ყურადღება მიიპყრო, როგორც ქართველი ერის დიდი წარსულის წმიდა ადგილმა. ამ პატარა კუთხის მიწის გულიდან ამოღებულმა მეტყველმა ძეგლებმა აალაპარაკა მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერნი, მცხეთის დიდებული წარსულის ძეგლებს ეხება მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე გამოცემული 113 მეცნიერული და მეცნიერულ-პოპულარული შრომა.

ასეთი განსაკუთრებით პატივსაცემი და განსაკუთრებული შინაგანი მნიშვნელობით აღსავსე ქალაქი ალბათ ბევრი როდია. ამიტომ არის, რომ საქართველოში ჩამოსული მეცნიერი, კულტურის მუშაკი, ტურისტი თუ საგანგებოდ გამომგზავრებული მცხეთას უნახავს არ ტოვებს. სტუმარს ხიბლავს მისი სიმშვენიერე, განსაკუთრებული მდებარეობა, ტყით დაფარული შემოგარენი, ორი მდინარის ურთიერთ შეზრდა, ზღაპრულად რომ მოჩანს ჯვარ-ზედაზნიდან.

ყოველწლიურად იზრდება ჩვენი ქალაქის, საგურამოს, ნოსტეს, ერთაწმინდის, მუხრანის და სხვა სოფლების მნახველთა რიცხვი. მოდიან ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხრიდან, მსოფლიოს თითქმის ყველა კონტინენტიდან.

ჩანაწერებით სავსეა მხარეთმცოდნეობის და საგურამოს ილიას მუზეუმები, სახელოვანი თანამემამულის მიხეილ მამულაშვილის შთაბეჭდილებათა წიგნები.

მნახველებს სიძველეთა ძეგლებთან ერთად აინტერესებთ დღევანდელი შინაარსიანი შრომით აღსავსე, კეთილი დამმჩნევი ჩვენი ყოფა და საქმიანობა, რაც ქალაქისა და სოფლის სისუფთავეში, სილამაზეში, მის ღაზავსა და შნოში პოულობს გამოხატულებას.

ამ მიმართულებით მცხეთის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს სესიამ ჯერ კიდევ მიმდინარე წლის 14 იანვარს განიხილა მცხეთის კეთილმოწყობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების საკითხი. დაისახა მთელი რიგი ღონისძიებანი ქალაქის კეთილმოწყობისა და მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესებისათვის. სესიის გადაწყვეტილებანი, მოსახლეობის მხარდაჭერითა და აქტიური მონაწილეობით დასახული გეგმები წარმატებით სრულდება.

ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ფართო მონაწილეობა ქალაქისა და სოფლების კეთილმოწყობაში კიდევ უფრო გაბზარდა საგარეჯოელთა შემდეგი მოწოდების ძახუად: „მოუარე, დაამშვენე შენი სოფელი და კარმიდამო“. შესრულდა მნიშვნელოვანი სამუშაოები მოსახლეობის შრომითი მონაწილეობითა და ადგილობრივი სახსრებით რაიონის ცენტრისა და სოფლების კეთილმოსაწყობად. მიმდინარე წელს ქ. მცხეთის კეთილმოწყობისა და მოსახლეობის კომუნალური მომსახურებისათვის ბიუჯეტით გამოყოფილი 113 ათასი მანეთი ათვისებულია. გარდა ამისა, ქალაქის კეთილმოწყობას მოხმარდა რაიონის ბარეი შემოსავლიდან 80 ათასი მანეთი.

ᲗᲣ ᲛᲘᲗᲮᲠᲘᲗ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲗᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲡ ᲗᲠᲝᲞᲘᲡ ᲚᲐᲠᲯᲘᲡ ᲪᲚᲝᲑᲐᲡᲐᲪ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲘᲜᲐᲬᲚᲝᲑᲐ, სანამ ქალაქს ეწვევ. ᲗᲣ ᲐᲠ ᲛᲝᲬᲕᲘᲡᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲕᲐ ᲐᲠᲐᲒᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲛᲔᲚᲘ ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲕᲐ.

ᲪᲮᲝᲚᲐᲗᲐ საქართველოს უძველესი საბტადო ქალაქია, რომელიც თავის პატარა, ულამაზეს სახახელში იტევს ისეთ ბრწყინვალე, მსოფლიო მნიშვნელობის არქეოლოგიურ და არქიტექტურულ ძეგლებს, როგორიც არის ანმაზის აკლდამები, ჯვრის მონასტერი, სვეტიცხოველი, სამთავრო და მრავალი სხვა. ამიტომ იყო, რომ მცხეთამ თავიდანვე ყურადღება მიიპყრო, როგორც ქართველი ერის დიდი წარსულის წმიდა ადგილმა. ამ პატარა კუთხის მიწის გულიდან ამოღებულმა მეტყველმა ძეგლებმა აალაპარაკ

მსოფლიო ამ დღეებში

მთავარია მშვიდობა

ა. ა. გრომიკოს გამოსვლა ენერალური ასამბლეის XIX სესიის პლენარულ სხდომაზე

ნიუ-იორკი, 7 დეკემბერი. (საკდესი). სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XIX სესიაზე ძოვიდა თავისი ლენინური მშვიდობის პოლიტიკით, ხალხთა დამოუკიდებელი და თავისუფალი განვითარების უფლებათა დაცვის პოლიტიკით. ჩვენი ძმაო, თქვა მან, ყოველ ღონეს ვხმარობთ და მზად ვართ გამოვიყენოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესაძლებლობანი საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამშრომლობისა და ურთიერთობის განვითარებისათვის მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების საფუძველზე.

ა. ა. გრომიკო თავის „გამოსვლაში შეეხო ძირითად საერთაშორისო პრობლემებს, რომელთა გადასაჭრელად, როგორც მან თქვა, საჭიროა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრის მეთანხმებული მოქმედება. მან სესიის მონაწილეებს მოუწოდა კონსტრუქციულად განიხილონ ეს პრობლემები და შეიმუშაონ მათი გადაჭრის გზები.

უწინარეს ყოვლისა ხალხთა შეშფოთებას იწვევს გამლებული შეიარაღება, რომლის ბადალი ისტორიას არ ახსოვს, ხაზი გაუსვა ა. ა. გრომიკომ. საქმე ისე როდია, თითქოს განიარაღება ობიექტურად შეუძლებელი იყოს, განაგრძო მან, არამედ ის, რომ ჯერ კიდევ გაგლენით სარგებლობენ ძალები, რომლებსაც არ სურთ განიარაღება. მაგრამ განა შეიძლება შეეჭიროგდეთ, რომ იარაღის წარმოებით გამდიდრების ინტერესები უფრო მაღლა დავაყენოთ, ვიდრე ხალხთა მისწრაფება თავიდან აიცილონ რაკეტულ-ატომური ომის საფრთხე.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა დასავლეთის ხელმძღვანელებს მოუწოდა უფრო რეალურად მიუდგნენ ამ პრობლემას. დე, დასავლეთის სახელმწიფო მოღვაწეებმა, რომლებიც არ ეთანხმებიან წინადადებებს ნამდვილი განიარაღების შესახებ, კიდევ ერთხელ ალონ ხელი საბჭოთა კავშირის წინადადებანი და ნახონ, წინასწარ აკვიატებული აზრი ხომ არ განსაზღვრავს მათს დამოკიდებულებას ამ წინადადებებისადმი. და, რაც მთავარია, კარგად „ბონ-დაფონონ, განა მხოლოდ სოციალისტური ქვეყნები მოიგებენ განიარაღებით. ყველა, ვინც სერიოზულად ჩაფიქრდება ამ საკითხს, არ შეიძლება არ აღიაროს, რომ განიარაღებით მოიგებს ყველა ქვეყანა, ყველა ხალხი. იგი დაეხმარება ახლახან განთავისუფლებულ ხალხებს დაძლიონ საუკუნეობრივი ჩამორჩენილობა.

ა. ა. გრომიკომ თქვა, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ მოლაპარაკებისათვის და ხაზი გაუსვა, რომ სსრ კავშირი იმ ღონისძიებათა მომხრეა, რომლებიც თავდაპირველად შეაფერხებენ, შეამცირებენ მაინც გამლებულ შეიარაღებას. ამ ღონისძიებათა მნიშვნელობა ის არის, რომ ისინი ანლებენ საერთაშორისო დაძაბულობას და უფრო ხელს უწყობენ ნდობის საერთო ატმოსფეროს, ეს ეხმარება საერთაშორისო ურთიერთობათა ნორმალიზაციას, ეხმარება ეროვნული სუვერენიტეტების ფეხზედგომას, ეხმარება ეროვნული ეკონომიკის ინტენსიურ განვითარებას, ეხმარება ეროვნული კულტურების ინტენსიურ ზრდას.

ეს ეხმარება ეროვნული ეკონომიკის ინტენსიურ ინტერნაციონალიზაციას, ეხმარება ეროვნული კულტურების ინტენსიურ ინტერნაციონალიზაციას,

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა



„ტაიფუნი“ თბილისში

ბუშონ, 8 დეკემბერს, თბილისში შედარებით თბილი ამინდი იდგა. ქალაქის ქუჩებსა და სკვერებში დანავარდობდა ნიავ-ქარი. და უცბად... შიგ ქალაქის შუაგულში, რუსთაველის პროსპექტზე, როგორც იტყვიან, დღისით-მზისით, ამოვარდა „ტაიფუნი“. მაგრამ არ იფიქროთ, რომ ეს იყო მრისხანე მბრძანებელი ზღვათა და ოკეანეთა. თუმცა არც მას გამოუწვევია ნაკლები არევ-დარევა. ეს იყო მრისხანე მტაცებელთა ოჯახის წარმომადგენელი — ვეფხვი, რომელისთვისაც შეურქმევიათ სახელი „ტაიფუნი“.

თავის თანამოძმეთაგან განსხვავებით იგი არ იყო ოდნავ აგრესიულად განწყობილიც კი. პირიქით, იგი თვინიერად მიპყვებოდა პატრონს — ახალგაზრდა ლენინგრადელ მომთვინიერებელს ვალტერ ზაპაშნის და მის მეუღლეს მარიკა მიხეილის ასულს. თბილისის ცირკში თავისუფალი დრო რომ იპოვნეს, მთელი „ოჯახი“ გამოსულიყო ქალაქში სასეირნოდ.

აი გადასახსვლელი რუსთაველის პროსპექტზე. უმალ მთელი მოძრაობა გაჩერდა. „ტაიფუნისათვის“ გზა ხსნილია! (სურ. 1). ცოლ-ქმარმა ლაღიძის ცნობილი გამგეგრილებელი წყლების მაღაზიაში შეუხვია. „ტაიფუნი“ კი მოთმინებით იცდის. ქალაქში სეირნობა რომ დაამთავრეს, „ტაიფუნმა“ თავის ახლობლებს გაუარა სტუმრად. გალიის გარეთ რომ ნახეს იგი, ზოოპარკის ყველა ბინადარი მიიმალ-მოიმალა. თვითონ „ტაიფუნი“ კი მხოლოდ და მხოლოდ ლომის ქანდაკებამ შეაშინა. (სურ. 3.).

დღეს თბილისელები ცირკის არენაზე ნახავენ „ტაიფუნს“.

ფოტო გ. კიკვაძისა და ბ. დადვაძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

მკითხველის ჰალმით

□ **თბილისის** მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოში“ გაიხსნა ოთხწლიანი კულტურის სახალხო უნივერსიტეტის ლიტერატურისა და ხელოვნების ფაკულტეტი, რომელშიც გაერთიანებულია კომბინატის, ინჟინერ-ტექნიკოსები და მუშა-მოსამსახურეები. კულტურის უნივერსიტეტის რექტორია სახელმწიფო კონსერვატორიის დოცენტი ა. ბეგიჯანოვი.

მ. ალფაიძე.

□ ** კოლხიდის** ზღვისპირა ქალაქ ფოთს კიდევ ერთი სიახლე შეემატა — საწარმო გამოცდას გადის ავტომატური ტელეფონის სადგური, რომელიც გათვლისწინებულია 2 ათასი ნომრისათვის. სადგური პირველი ინჟერიდან მოემსახურება ქალაქის საწარმო-დაწესებულებებსა და მოსახლეობას.

კ. კომახიძე.

□ **ამ დღეებში** მეშახტეთა ქალაქ ტყიბულს ეწვია ქ. თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა საიახლის ნორჩ მოცეკვავეთა ანსამბლი, კულტურის სასახლეში მოეწყო თბილისელი და ტყიბულელი პიონერების საზეიმო შეხვედრა.

ნ. ვახტანგაძე.

სახალხო უნივერსიტეტი კოლმეურნეობაში

წყალტუბო. (საკ. კორ.). სოფელ მაღლაკის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში შეიქმნა და მეცადინეობას შეუდგა სასოფლო-სამეურნეო ცოდნისა და მოწინავე გამოცდილების გავრცელების ორწლიანი სახალხო უნივერსიტეტი.

სახალხო უნივერსიტეტს აქვს მეჩაიეობისა და მებოსტნეობის ფაკულტეტები. რექტორია ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის იმერეთის საყრდენი პუნქტის გამგე, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ჰ. თენგიეიმვილი. შეიქმნა უნივერსიტეტის მეთოდური საბჭო.

მეგობროების გამოფენა

ბათუმი. (საკ. კორ.). აჭარის სახელმწიფო მუზეუმში ახლახან მოწყობილ გამოფენას ბევრი დამთვალიერებელი ჰყავს. გამოფენა მიძღვნილია ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ბლაგოევგრადის ოკრუგისა და აჭარის ასსრ მშრომელთა მეგობრობისადმი.

გამოფენა იხსნება ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის რუკით და ბლაგოევგრადის ოკრუგის ქალაქებისა და სოფლების მომხიბლავი პანორამით. აქვეა გიორგი ღიმიტროვისა და ტოდორ ჟივკოვის პორტრეტები, ბულგარული ლიტერატურის კლასიკოსის მინჩო ვაზოვის სურათი და ნაწყვეტი მისი წერილისა თედო სახოკიასადმი, რომელმაც ქართულ ენაზე თარგმნა ვაზოვის რომანი „დამონებულნი“. სამამულო ომის პერიოდს ასახავენ ექსპონატები, რომლებიც მიძღვნილია ნიკოლ პარაპუნოვისადმი, რომელიც მეთაურობდა პარტიზანულ რაზმს ფაშისტების მიერ დროებით ოკუპირებულ ბლაგოევგრადის ოკრუგის ტერიტორიაზე.

მწერლის სახელის უკვდავსაყოფად

ქ. ონნის საზოგადოებრიობა წმიდად ინახავს თავისი მკვიდრის, საყვარელი მწერლისა და დრამატურგის გერასელ ბაბოზოვის ნათელ ხსოვნას.

გ. ბაბოზოვის დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით ონის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ქალაქის ერთ-ერთ ქუჩას მიაკუთვნა გერასელ ბაბოზოვის სახელი.

ნ. მეტრეველი.

აქვეა სახალხო ხელისუფლების წლებში მოპოვებულ წარმატებათა მაჩვენებლები როგორც სახალხო მეურნეობის, ისე კულტურის დარგში. ამ რამდენიმე თვის წინათ აჭარიდან სპეციალური დელეგაცია იყო მომე ბულგარეთში. ექსპონატების დიდი ნაწილი ასახავს დელეგაციის ყოფნას ბლაგოევგრადის ქალაქებსა და სოფლებში. აქ არის ფოტოსურათები და საჩუქრები, რომლებიც ბულგარელმა მასპინძლებმა უძღვნეს საქართველოს წარგზავნილებს.

თმის გადარჩენა

რომაელებში სქელი ქოჩორი დიდად დასთვლიდა, მელოტი კი ორჯერ უფრო იაფი იყო მონათა ბაზარზე. ეს, ცხადია, ეკუთვნის, მაგრამ ახლაც კარგი თმა სამკაულია. თმის დაკარგვას ბევრნი მეტად მტკივნეულად განიცდიან.

ეს პრობლემა, როგორც ცნობილია, უწინარეს ყოვლისა მამაკაცებს ალელვებს. ქალები რომ მეტად იშვიათად მელოტდებიან, ბევრი მეცნიერის აზრით ეს დაკავშირებულია განსხვავებასთან თავის ქალას აღნაგობაში. მამაკაცების თავის ქალა უფრო ფართოა, ამობურცულია, აპონევროზი — მყესოვანი მუზარადი, რომელიც თავს გარს აკრავს კანქვეშ, უფრო განვითარებულია. 14-15 წლის ასაკში ყველას აპონევროზი ერთხანად თხელი და ელასტიკურია. მაგრამ შემდეგ ჯაბეკებს აპონევროზი უსქელდებათ, უფუზდებათ, ცხიმოვან უჯრედისში უხვში მყესოვანი ზოლდები უვითარდებათ. 30-40 წლის ასაკისათვის ბევრი მამაკაცის მყესოვანი მუზარადი იქცევა თავისებურ მსხვილ დაჭიმულ სახეეკად, რომელიც შიგნიდან აწვება თავის კანს, ჭიმავს მას.

მეცნიერებმა სინჯეს ექსპერიმენტში, ხელოვნურად შეექმნათ თავის ქალას მოკცულობისა და მასზე შემოკრული კანის ასეთი შეუსაბამობა. ისინი მაიბუნის თავზე ამოჭრიდნენ ზოლს და ავრავდნენ ჭრილობას, ამასთან ძალიან ჭიმავდნენ კიდეებს. ეკლებლივ ყველა მაიმუნი მელოტდებოდა — დაქიმულ კანზე თმა თხელდებოდა, ცვივოდა. რატომ?

თმა ცოცხალი ორგანიზმის ნაწილია და, როგორც მთელი ორგანიზმი შეიძლება არსებობდეს მხოლოდ საკმაო ვეგეტაციას, თმის ძირითადი ნაწილი ხომ საწოვრებია, კანის სისქეში ღრმად ჩამალული ბოლქვებია. თვითეული ასეთი ბოლქვი პაპაწაკინტელა ლაბორატორიაა, რომელიც თმას ქმნის სისხლთან ერთად ზოლელ საკვები ნივთიერებებისაგან. იგი მეტად მგრძნობიარეა, სათუთად ეხმაურება თავისი მამრავალმხრივ ოდნავ გაუარესებას და შეუძლია სულ ბეჯერი ექვს საათს „ეშიმშილოს“.

მთელი ჩვენი კანი დაქსაქსულია სისხლძარღვებით, იგი ხუთფენოვან ბაჯაპარსს ჰგავს. როცა ეს „ბაჯაპარი“ გაბრტყელებულია, გასრესილია (აპონევროზი ძლერ ჭიმავს კანს), სისხლძარღვებიც ბრტყელდება, სისხლის შემოქცევა არღვევა. თმის ძირები ერთიმეორის მიყოლებით ღიუპება, თმა ცვივა. ეს ჩვეულებრივად იწყება წინიდან, შუბლის ზემოთ.

მაშასადამე, თმის დაცვნაში ბრალი მიუძღვის მეტად განვითარებულ მყესოვან მუზარადს. რა იქნება, რომ ვსინჯოთ მასში „სარკმლის“ ამოჭრა და ამით შევასუსტოთ კანზე დაწოლა? მაშინ სისხლძარღვები გათავისუფლდებიან და თმის ძირების კვება აღდგება. ეს იდეა წამოაყენეს და პირველად განახორციელეს საზღვარგარეთ რამდენიმე წლის წინათ.

საბჭოთა კავშირში პირველი ასეთი ოპერაცია გააკეთა გენადი მამონტოვმა 1962 წლის თებერვალში. ახლა მას გადარჩენილი აქვს ასზე მეტი ქოჩორი. მის მიერ შემუშავებული მეთოდიკით ოპერაციას აკეთებენ მოსკოვის საექიმო-ოსმეტიკური სამკურნალოს სხვა ექიმებიც.

როგორია შედეგები? პაციენტთა 82 პროცენტს მკვეთრად შეუმცირდა და შეუჩერდა თმის დაცვენა, 7 პროცენტს ახალი თმაც კი წამოეზარდა. პაციენტთა 11 პროცენტს ოპერაციამ ვერ უშველა — მდგომარეობა არ გაუარესებია, მაგრამ არც გაუმჯობესებია. მამონტოვი კანს სერავს კეფაზე — იქ ნაკრძალებეკი სრულიად შეუმჩნეველია, თმაშია დაფარული. განსაკუთრებული ინსტრუმენტით ქირურგი გადმოკაცავს კანს, შემდეგ კი მის ქვეშ მყესოვანი მუზარადის ზოლს ამოჭრის.

წარმატების იმედი, როგორც გამოცდილებამ ცხადყო, შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ ახალგაზრდებს, არა საბოლოოდ გამელოტებულთ, არამედ იმათ, რომლებსაც თმა უთხელდებათ. იმის იმედი, რომ მელოტს, ერთი ხელის აკნევით კვლავ წამოეზრდება თმა, — ზედმეტია. ასეთი რამ შეიძლება მოხდეს და ხდება, მაგრამ იშვიათად. ოპერაცია ხსნა კი არ არის, არამედ პროფილაქტიკის ღონისძიებაა. იგი შეიძლება წარმატებითად ჩაითვალოს, თუ თმის დაცვენა შეჩერდა, თმის ზრდისა და დაკარგვის ბალანსი გაწონასწორდა.

„გასქელებული“ მყესოვანი მუზარადი გამელოტების ხშირი მიზეზია, მაგრამ, რა თქმა უნდა, არა ერთადერთი. არახელსაყრელი გარემანი ზემოქმედება, ავადმყოფობა, ცვლილებები შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების მუშაობაში, ზედმეტი დაძაბულობა, ზედმეტ ნერვიულობა, არასწორი მოვლა — ყოველივე ეს გაჯერნას ახდენს თმაზე. და ყოველთვის საჭიროა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მკურნალობა.

— თუ ჩვენთან მოვიდა კაცი, რომლის გამელოტება დაკავშირებულია აპონევროზთან, ჩვენ მას ეტაცებულებად ეუშველით; თუ მიზეზი სხვაა, ჩვენ ხშირად უძლურნი ვართ, — ამბობს დოქტორი მამონტოვი. — სწორედ ამიტომ, სანამ გადაწყვეტდეთ ოპერაციის გაკეთებას, საჭიროა გაიარო საფინანსო კვლევა, მოეთათბირო არა მარტო კოსმეტოლოგებს, არამედ სხვა სპეციალობათა ექიმებსაც — თერაპევტებს, ნეიროპათოლოგებს, ენდოკრინოლოგებს.

ტ. კოსტიბოვა.

პირუტყვი

ბრუნლინ-ციცქვეშ, ქარიან ფერდობზე ძროხა ბალახობდა.

ბალახი იყო გვიანი შემოდგომის, ძროხა — ფერმის. ფერმა კი სოფელ ჯავის კოლმეურნეობისა.

ძროხას შესცივდა და მოეჩვენა, რომ ბალახს ჩალის გემო ჰქონდა; მან, ყინვისაგან აკანკალებულმა, მძიმედ ჩაისუნთქა და თავქვე დაეშვა.

ნაწვიმარ ფერდობს ღრმად აჩნდებოდა უნალო საკონლის ნაკვალევი.

ძროხამ ორსართულიან შენობაზე მიდგმული ოთხსართულიანი კიბის ყველა საფეხური ადამიანზე უფრო სწრაფად აიარა და კოლმეურნეობის ფერმის გამგის ვ. გასიევის კარი რქებით შეაღო.

— რა მქვია მე? — ზმუილით ჰკითხა ფერმის გამგეს.

ფერმის გამგეს არ გაკკვირვებია მისი შეკითხვა.

— მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი.

— ვარ თუ არა საქონელი?!

— კი, ბატონო, ჯავის საქონელი ბრძანდები, რამ გაგაჯავრა? — მეძკრთალი ღიმილით დაეთანხმა ფერმის გამგე და შიშით შეათვალიერა ძროხის წვეტიანი და ღონიერი რქები. გამგეს მოეჩვენა, რომ ის რქები სრულებით არ ჰგავდა ყანწებს.

— თვიეს დამზადების საქმე როგორ არის?

— კგლავ იკითხა ძროხამ.

— 2.000 ცენტნერით ნაკლები მოვთიბეთ, დამნაშავე ვართ შენს წინაშე, მეტი ვერ მოგასწარით.

— ე ი. ვიშიმშილო ამ ზამთარში, ხომ? სად არის უხვი საკვები? ეს რა უხეშობაა?!

— ცოტა არ იყოს უხეშად იკითხა ძროხამ.

— ნუ გეშინია, ვინმე გვასესხებს თივას, თანაც ღერით მოწყალეა, იქნებ მალე გაგვიზაფხულდეს.

— ამ ფარულალა, ცივ ბოსლებში მიპირებთ გამოზამთრებას?

— რა ვქნათ, შენი ჭირიმე... — თქვა დარცხვენილმა ფერმის გამგემ და თავი ჩაღუნა.

ფერმის გამგემ და ფერმის ძროხამ იმ დღეს ძალიან დიდხანს ისაუბრეს...

ამბავი კი მეორე დღეს დაიწყო.

კოლმეურნეობის თავმჯდომარის კაბინეტში უხმოდ ისხდნენ და სარკმლიდან გაპყურებდნენ მოახლოებულ ზამთარს.

— რამ დაგამუხჯათ? — იკითხა თავმჯდომარემ გ. თედიეშვილ.

— მარილაც და რა ჩუმად ზუიკართ? — კვერი დაუკრა ფერმის გამგემ.

— ქვემოდან რაიმე წინადადება ხომ არ არის? — კვლავ იკითხა თავმჯდომარემ.

ფერმის გამგე სხვა შემთხვევაში დუმილს არჩევდა. მაგრამ მან ერთხელ კიდევ გაიხსენა ორი ბასრი რქა მომთხოვნი ძროხის მრისხანე შუბლზე და ამოოაპარაკა:

— ფერმის საქონელი გაჯავრებულია. ეს ამბავი ერთი სოფლის შარშანდელი გაკვეთილიდან კოლმეურნეობის თავმჯდომარის კაბინეტში რბილად სსენდა და ყურადღებით უმზერენ ნაამბობს:

— იმ სოფელშიც იცოდნენ გაუთავებელი კამათი და უშედეგო სხდომების გამართვა, — იწყებს ზამთარი.

„იმ სოფელშიც უკმაყოფილებას გამოთქვამდა უბინაოდ და უთავოდ დარჩენილი პირუტყვი.

და აი გაჩაღდა მოძრაობა ცხოვრების მიერ დღის წესრიგში დაყენებული ამ რთული საკითხის განსახილველად.

საკოლმეურნეო კედლის გაზეთები სისტემატურად ბეჭდავენ გამოსმაურებებს სათაურებით: „საზამთრო სადგომების მისადგომებზე“, „უბინაობას სჯობს ბინიანობა“, „ზამთარში თოვლი მოდის“ და ა. შ.

„პირუტყვი პირ უტყვია“. ამ სათაურით გამოქვეყნდა კედლის გაზეთში მოწინავე სტატია, რომლის ავტორი გულდასმით ამტკიცებდა, ძროხას ფრთები არა აქვს და ამ უბრალო მიზეზის გამო თბილ ქვეყნებში ვერ გაფრინდებაო. ადგილობრივი გაკვანების პოეტებმა შექმნეს ლექსების ციკლი „უსახლკაროს“ მოტივებზე, ხოლო სოფლის ვეტექიმი გამოვიდა მეთოდური წერილით „საკონლის გრიპიანობის შესახებ“.

დაინიშნა კოლმეურნეთა საერთო კრება. აქტივისტები დიდხანს მუშაობდნენ ღონისძიების პროგრამაზე. გამოიყო კომისია, რომელსაც პირუტყვთა საზამთრო საკვების დასაზვინავი ადგილი უნდა შეერჩია.

კრებამ გამოიყო მეორე კომისიაც, რომელსაც უნდა შეემოწმებინა პირველი კომისიის მიერ შერჩეული ადგილის ვარგისიანობა.

კრებამ გამოიყო მესამე კომისიაც, რომელსაც თვალყური უნდა ედევნებინა პირველი და მეორე კომისიების მუშაობისათვის.

კრებამ გამოცდილი კადრების უკმარობის გამო დროებით შეაჩერა მეოთხე კომისიის შექმნა...

პირველი კომისია შეუდგა მუშაობას, და ზამთარიც მოვიდა; მეორე კომისიამ შუა ზამთარში ჩაიბარა საქმეები, ხოლო, როდესაც მესამე კომისიამ საზამთრო საკვების დასაზვინავი ადგილი დაუზუტა, ზამთარი უკვე თეთრ კალთებს იკეცავდა.

გაზაფხულდაო, ჩაილაპარაკა ვიღაცამ კოლმეურნეობის თავმჯდომარის კაბინეტში.

კამათი არ ამტყდარა.

— საზამთრო საკვები ძროხას უკვე აღარ სჭირდებაო — გამოაცხადა ფერმის გამგემ.

ძროხას მართლა აღარ სჭირდებოდა არც საზამთრო და არც საზაფხულო საკვები.

ფერმის ღობეზე გადაკიდებული მისი უშველებელი ტყავი გაფრთხილებას ჰგავდა.

უსმენენ ზამთარს ჯავის კოლმეურნეობის მეთაურები, უსმენენ და იღიმებიან.

ძროხებს კი ცუდი, ძალიან ცუდი სიზმრები ესიზმრებათ.

რ. მიშველაძე.

ფელეტონი

ეს უბრალო ამბავი

ბალაბანი — ციცქვეშ, ქარიან ფერდობზე ძროხა ბალახობდა.

ბალახი იყო გვიანი შემოდგომის, ძროხა — ფერმის. ფერმა კი სოფელ ჯავის კოლმეურნეობისა.

ძროხას შესცივდა და მოეჩვენა, რომ ბალახს ჩალის გემო ჰქონდა; მან, ყინვისაგან აკანკალებულმა, მძიმედ ჩაისუნთქა და თავქვე დაეშვა.

ნაწვიმარ ფერდობს ღრმად აჩნდებოდა უნალო საკონლის ნაკვალევი.

ძროხამ ორსართულიან შენობაზე მიდგმული ოთხსართულიანი კიბის ყველა საფეხური ადამიანზე უფრო სწრაფად აიარა და კოლმეურნეობის ფერმის გამგის ვ. გასიევის კარი რქებით შეაღო.

— რა მქვია მე? — ზმუილით ჰკითხა ფერმის გამგეს.

ფერმის გამგეს არ გაკკვირვებია მისი შეკითხვა.

— მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი.

— ვარ თუ არა საქონელი?!

— კი, ბატონო, ჯავის საქონელი ბრძანდები, რამ გაგაჯავრა? — მეძკრთალი ღიმილით დაეთანხმა ფერმის გამგე და შიშით შეათვალიერა ძროხის წვეტიანი და ღონიერი რქები. გამგეს მოეჩვენა, რომ ის რქები სრულებით არ ჰგავდა ყანწებს.

— თვიეს დამზადების საქმე როგორ არის?

— კგლავ იკითხა ძროხამ.

— 2.000 ცენტნერით ნაკლები მოვთიბეთ, დამნაშავე ვართ შენს წინაშე, მეტი ვერ მოგასწარით.

— ე ი. ვიშიმშილო ამ ზამთარში, ხომ? სად არის უხვი საკვები? ეს რა უხეშობაა?!

— ცოტა არ იყოს უხეშად იკითხა ძროხამ.

— ნუ გეშინია, ვინმე გვასესხებს თივას, თანაც ღერით მოწყალეა, იქნებ მალე გაგვიზაფხულდეს.

— ამ ფარულალა, ცივ ბოსლებში მიპირებთ გამოზამთრებას?

— რა ვქნათ, შენი ჭირიმე... — თქვა დარცხვენილმა ფერმის გამგემ და თავი ჩაღუნა.

ფერმის გამგემ და ფერმის ძროხამ იმ დღეს ძალიან დიდხანს ისაუბრეს...

ამბავი კი მეორე დღეს დაიწყო.

ამბავი ერთი სოფლის შარშანდელი გაკვეთილიდან კოლმეურნეობის თავმჯდომარის კაბინეტში რბილად სსენდა და ყურადღებით უმზერენ ნაამბობს:

— იმ სოფელშიც იცოდნენ გაუთავებელი კამათი და უშედეგო სხდომების გამართვა, — იწყებს ზამთარი.

„იმ სოფელშიც უკმაყოფილებას გამოთქვამდა უბინაოდ და უთავოდ დარჩენილი პირუტყვი.

და აი გაჩაღდა მოძრაობა ცხოვრების მიერ დღის წესრიგში დაყენებული ამ რთული საკითხის განსახილველად.

საკოლმეურნეო კედლის გაზეთები სისტემატურად ბეჭდავენ გამოსმაურებებს სათაურებით: „საზამთრო სადგომების მისადგომებზე“, „უბინაობას სჯობს ბინიანობა“, „ზამთარში თოვლი მოდის“ და ა. შ.

„პირუტყვი პირ უტყვია“. ამ სათაურით გამოქვეყნდა კედლის გაზეთში მოწინავე სტატია, რომლის ავტორი გულდასმით ამტკიცებდა, ძროხას ფრთები არა აქვს და ამ უბრალო მიზეზის გამო თბილ ქვეყნებში ვერ გაფრინდებაო. ადგილობრივი გაკვანების პოეტებმა შექმნეს ლექსების ციკლი „უსახლკაროს“ მოტივებზე, ხოლო სოფლის ვეტექიმი გამოვიდა მეთოდური წერილით „საკონლის გრიპიანობის შესახებ“.

დაინიშნა კოლმეურნეთა საერთო კრება. აქტივისტები დიდხანს მუშაობდნენ ღონისძიების პროგრამაზე. გამოიყო კომისია, რომელსაც პირუტყვთა საზამთრო საკვების დასაზვინავი ადგილი უნდა შეერჩია.

კრებამ გამოიყო მეორე კომისიაც, რომელსაც უნდა შეემოწმებინა პირველი კომისიის მიერ შერჩეული ადგილის ვარგისიანობა.

კრებამ გამოიყო მესამე კომისიაც, რომელსაც თვალყური უნდა ედევნებინა პირველი და მეორე კომისიების მუშაობისათვის.

კრებამ გამოცდილი კადრების უკმარობის გამო დროებით შეაჩერა მეოთხე კომისიის შექმნა...

პირველი კომისია შეუდგა მუშაობას, და ზამთარიც მოვიდა; მეორე კომისიამ შუა ზამთარში ჩაიბარა საქმეები, ხოლო, როდესაც მესამე კომისიამ საზამთრო საკვების დასაზვინავი ადგილი დაუზუტა, ზამთარი უკვე თეთრ კალთებს იკეცავდა.

გაზაფხულდაო, ჩაილაპარაკა ვიღაცამ კოლმეურნეობის თავმჯდომარის კაბინეტში.

კამათი არ ამტყდარა.

— საზამთრო საკვები ძროხას უკვე აღარ სჭირდებაო — გამოაცხადა ფერმის გამგემ.

ძროხას მართლა აღარ სჭირდებოდა არც საზამთრო და არც საზაფხულო საკვები.

ფერმის ღობეზე გადაკიდებული მისი უშველებელი ტყავი გაფრთხილებას ჰგავდა.

უსმენენ ზამთარს ჯავის კოლმეურნეობის მეთაურები, უსმენენ და იღიმებიან.

ძროხებს კი ცუდი, ძალიან ცუდი სიზმრები ესიზმრებათ.

რ. მიშველაძე.

ისევ ორი ლიდერი

მეთორმეტე ტურის დაწყებამდე სატურნირო ცხრილში კიდევ ერთი შედეგი ჩაიწერა. ადრე გადადებულ პარტიაში მ. რანიკუ და ლ. ვოლპერტი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ზედიზედ ექვსი გამარჯვების შემდეგ გუშინ შეფერხდა ნ. გაფრინდაშვილი. მისმა მეტოქემ რ. კაზმინამ, შავებით სიცილიურ დაცვას მიმართა და დამაკმაყოფილებელი თამაში მიიღო. მსოფლიოს ჩემპიონის ცდას დაეწყო აქტიური ოპერაციები მეფის ფრთაზე, ჩელიაბინსკელმა მოჰაფრა კენტრში ენერგიული მოქმედებით უპასუხა და მდგომარეობა სავსებით გაათანაბრა. ეტლების გაცვლის შემდეგ ბრძოლა საგრძნობლად დაცხრა და 37-ე სვლაზე ყაიმი აღინიშნა.

ნ. ალექსანდრია-მ. რანიკუს შეხვედრა არც თუ უშეცდომო, მაგრამ მეტისმეტად მძაფრი აღმოჩნდა. ესტონელმა ოსტატმა ფრანგულ დაცვაში ვერ გაათანაბრა პოზიცია. შავები იძულებული გახდნენ ყრუ დაცვისთვის მიემართათ „მთელ ფრონტზე“. მიუხედავად ამისა, ნ. ალექსანდრია უგეგმოდ თამაშობდა და ვერ შეძლო გამოეყენებინა თავისი უპირატესობა. უალრესად მწკავე და ორმხრივი კომბინაციური შესაძლებლობებით სავსე პოზიციაში ნ. ალექსანდრია აჩქარდა და ვერ შეამჩნია მოსაგები გაგრძელება, შემდეგ კი არაზუსტად ითამაშა საბჭოთა კავშირის ჩემპიონმაც. მიუხედავად ამისა, გადადებულ პოზიციაში აშკარა უპირატესობა უკვე მ. რანიკუს მხარეზეა.

ცნობილია, თუ რამდენად საზიანოა მატერიალური უპირატესობის „მოხვეჭა“ ფიგურათა განვითარებაში ჩამორჩენის ხარჯზე. რ. ვაინჩნაიამ, რომელსაც არა აქვს სერიოზულ შეჯიბრებებში მონაწილეობის გამოცდილება, ერთი პაიკის ფასად ინიციატივა მთლიანად „ჩაბარა“ ე. რუბცოვას. მოსკოვის ჩემპიონსაც ეს უნდოდა. იგი დაუყოვნებლივ გადავიდა შეტევაზე, მოიგო პარტია და დაწინა ლიდერს — ნ. გაფრინდაშვილს.

ქალიშვილს გუშინ არც ო. რუბცოვი ჩამორჩა, რომელმაც სძლია ე. ბიშარდს. ა. ერგლეს მოსაგები პოზიცია ჰქონდა, მაგრამ სასტიკ ციტნოტში შეცდა და დანებდა ვ. ბორისენკოს. ო. კაცკოვამ, რომელმაც წარუმატებელი სტარტის შემდეგ გამოასწორა მდგომარეობა, სძლია ი. გასპარიანცს, ხოლო ო. ანდრეევამ ზედიზედ მესამე გამარჯვება იზეიმა ნ. კონოპლიოვასთან. ყაიმზე შეთანხმდნენ ზ. ნახიმოვსკაია და უ. კურე. ლ. ვოლპერტ-ა. ჩაიკოვსკაიას პარტია გადაიდო, მაგრამ, ეტყობა, ალარ განახლდება — თბილისელ ოსტატს სრულიად უიმედო მდგომარეობა აქვს. გადაიდო აგრეთვე კ. ზვორიკინა — ბ. მოსიონეკის შეხვედრაც.

მეთორმეტე ტურის შემდეგ ბრძოლა პირველი ადგილისათვის საგრძნობლად გამწვავდა. ახლა სატურნირო ცხრილში პირველ-მეორე ადგილებს იყოფენ ნ. გაფრინდაშვილი და ე. რუბცოვი. მათ 9,5 ქულა აქვთ თვითეულს. მესამე ადგილზეა ნ. ალექსანდრია (8 ქულა და ორი გადადებული პარტია), 8 ქულა მოაგროვა ვ. ბორისენკომ, 7,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს მ. რანიკუს, 7 ქულა და ერთი მოსაგები პოზიციაში გადადებული პარტია — ლ. ვოლპერტს. მდგომარეობას განსაკუთრებით ის გარემოება ამწვავებს, რომ საპრიზო ადგილების პრეტენდენტების შეხვედრების უმრავლესობა ჯერ კიდევ არ ჩატარებულა.

დიდ ინტერესს იწვევს დღევანდელი მეცამეტე ტური, რომელშიც ნ. გაფრინდაშვილი შავებით ეთამაშება მ. რანიკუს, ე. რუბცოვი — ე. ბიშარდს, ნ. ალექსანდრია — ა. ჩაიკოვსკაიას, ლ. ვოლპერტი — რ. ვაინჩნაიას, ვ. ბორისენკო — ო. რუბცოვას.

გ. გამრეკელი.

სურათზე: ე. რუბცოვი.

ოლიმპიური მედლები გამარჯვებულებს

სსრ კავშირის ერთ-ერთმა წამყვანმა საჭადრაკო კომპოზიტორმა ალექსანდრ კაზარე